

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ჯანელიძეს  
ამავე მუნიციპალიტეტის სიქთარვის თემის  
მაჟორიტარი დეპუტატის კონსტანტინე ამაშუკელის

## ა ნ გ ა რ ი შ ი

გასული 6 თვის განმავლობაში, 2016 წლის 20 ნოემბრიდან 15 მაისამდე, სიქთარვის თემში, ყველა უბანში ვხვდებოდი მოსახლეობას თვეში 1 ან 2-ჯერ. თითქმის ვიცი ყველა უბნის გაჭირვება. გასაკეთებელი ძალიან ბევრია, რის მოგვარებასაც შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობ.

ჩვენი ძალისხმევით ჩხარი ეწრის უბანში შეიძვალა 10 ავარიული ბეტონის განათების ბოძი, ფანჯულიძეების უბანში დაიყარა 8 მ<sup>3</sup> ბალასტი, გაიწმინდა ბოგირები ჟორჯოლაძის სახლთან, ბოქორიშვილების და ჩიხლაძეების დამაკავშირებელ ბოგირზე მოეწყო გვერდის გამაგრება, ცხადაძეების წყაროსთან გაიწმინდა ბოგირი, გრუნტის სანიაღვრე არხი გაიჭრა პატარიძეების ბოლოზე, მემანიშვილებში ამოღებული და გატანილი იქნა ინერტული მასალა, გაიწმინდა როსტომ მემანიშვილის ეზო დამწვარი სახლის ნარჩენებისგან, გაიწმინდა ავტობანთან ამოვსებული არხი, საიდანაც იტბორებოდა მოსახლეობის დათესილი ფართობები, 2-ჯერ გავასწორეთ სოფლის გზები, წიდით გაკეთდა 300 მ გზა მდინარე ჩხარას მიმართულებით, გასაკეთებელია კიდევ 300 მ, რის გამოც მოსახლეობა წვინიან ამინდში ფართობებთან ვერ მიდის, ჩიხლაძეების გზაზე 700 მეტრზე დაყრილი არის წიდა, რომელიც უახლოეს დღეებში გასწორდება და მოშანდაკდება, სირბილაძეების უბანში დაიყარა 16 მ<sup>3</sup> ინერტული მასალა, სასაფლაოზე ჩხარი ეწერში გავასწორეთ მოსახლეობის მიერ შემოტანილი 400 მ<sup>3</sup> ინერტული მასალა.

სოფლის მოსახლეობას პრობლემა აქვთ „სოკარი“-ს მშენებლობასთან დაკავშირებით, რის გამოც მოსახლეობის ფართობებთან მისასვლელი გზა იკეტება, რის შესახებაც საქმის კურსში არიან, როგორც საკრებულო, ასევე მერია. როგორც საგზაო დეპარტანემტიდან გვაცნობეს საკითხი გადაწყდება მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

სოფლის წყალთან დაკავშირებით ტენდერი ჩატარდა დაპროექტებაზე, სადაც გამარჯვებული ბათუმის ფირმა შ.პ.ს. „ვეგა+“ გახდა. (დირექტორი ლევან იმედაძე), ხელშეკრულება გაფორმებულია და ველოდებით წარმომადგენლის ჩამოსვლას, ხოლო

რაც შეეხება თვითონ წყალსადენს არის ავარიულ მდგომარეობაში, თუ სასწრაფოდ არ იქნა ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები, წყალდიდობის შემთხვევაში მოსალოდნელია რაიონი დარჩეს უწყლოდ.

დაიწყო სოფლის სკოლის დემონტაჟი (რისი წინააღმდეგაც ვიყავი), ბავშვები სწავლობენ გამგეობის შენობაში, რომელიც სკოლის შენობაზე უფრო ავარიულია.

სოფელში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 33 ოჯახს, სურსათით- 7, მედიკამენტებით-4, ხოლო თანადაფინანსება 17 მოქალაქეს.



10. V. 2018 წ.